ხელშეკრულება №202/12

ქ. თბილისი 1 თებერვალი 2013წ

ერთი მხრივ **შპს "ფუდსერვისი"**, (შემდგომში – გამყიდველი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გელა გაბელიას სახით, და მეორე მხრივ სსიპ ქ. თბილისის #202 საჯარო სკოლა, (შემდგომში – მყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ჯალაღონიას სახით; ერთობლივად წოდებული როგორც მხარეები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ღირებულება

1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად, „გამყიდველი" აწვდის, ხოლო „მყიდველი" ყიდულობს შეთანხმებული ხარისხის პროდუქციას (ერთჯერადი ხელთათმანი CPV 18400000).

1.2. „გამყიდველი" უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებას „მყიდველის" მიერ მითითებულ ადგილზე.

1.3. ხელშეკრულების ღირებულებაა 50(ორმოცდაათი) ლარი.

2. გადახდის ვადები და პირობები

2.1. პროდუქციის ღირებულება მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში.

2.2. გადახდა წარმოებს თვეში ერთხელ, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში. თვის განმავლობაში მიწოდებული პროდუქციის ღირებულებას მყიდველი იხდის მომდევნო თვის 1-დან 15 რიცხვამდე.

2.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწინებული პროდუქციის საბაზრო ღირებულების გაზრდის შემთხვევაში გაიზრდება აღნიშნული პროდუქციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებაც.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. **„გამყიდველი" ვალდებულია:**

3.1.1. უზრუნველყოს მყიდველისთვის ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება შეკვეთილი რაოდენობით, დანართ №1-ში აღნიშნული ასორტიმენტითა და ღირებულებით.

3.1.2. მიაწოდოს „მყიდველს" შემდეგი დოკუმენტაცია:

- სასაქონლო ზედნადები;
- საგადასახადო ანგარიშფაქტურა;
- სერტიფიკატი;
- პროდუქციის ვადიანობა.

3.1.3. პროდუქციის მიწოდებაში მოსალოდნელი შეფერხების შემთხვევაში გააფრთხილოს "მყიდველი" 10 (ათი) დღით ადრე.

3.2. **„მყიდველი" ვალდებულია:**

3.2.3. გადაიხადოს პროდუქციის ღირებულება გათვალისწინებული ვადებისა და პირობების მიხედვით.

3.2.4. მყიდველს არა აქვს უფლება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის შეძენა სხვა პირისაგან.

3.2.5. დაესწროს პროდუქციის მიღებას და ჩაიბაროს იგი შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ "მყიდველის" მიერ

წამოყენებული პრეტენზია პროდუქციის რაოდენობრივი დანაკლისი შესახებ არ განიხილება "გამყიდველის" მიერ.

3.3. მხარეები თანხმდებიან, რომ პროდუქციის მიწოდების დამხმარე საშუალებები (ტარა), რომლის მეშვეობითაც ხდება პროდუქციის მიწოდება "მყიდველისათვის", "გამყიდველს" სრულად უბრუნდება უკან.

4. მიწოდების ვადები

4.1. „მყიდველი" ვალდებულია მომავალ მიწოდებამდე 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) საათით ადრე „გამყიდველს" მიაწოდოს შეკვეთა ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით (შემდგომში განაცხადი) ასორტიმენტისა და რაოდენობის მითითებით.

4.2. „გამყიდველი" ვალდებულია მიაწოდოს „მყიდველს" პროდუქცია ყოველი კვირის პირველ ან მეორე სამუშაო დღეს, ან გამყიდველთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხიმგებლები არიან ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულებაზე. მხარე, რომელიც არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალი.

5.2. მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ცალმხრივად, ვადამდე გამყიდველის ინიციატივით, თუ აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს მყიდველს ორი კვირით ადრე.

6.3. ხელშეკრულება ექვემდებარება ავტომატურ გაგრძელებას, თუ მხარეები არ გამოთქვამენ მისი შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 14 დღით ადრე.

7. კონფიდენციალობა

7.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა მიერ გაცვლილი ინფორმაცია ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფიდენციალურია (გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ეპიდემია, ხანძარი, ომი, საზოგადოებრივი არეულობები, გაფიცვები) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში თითოეული მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. ფორს-მაჟორის არსებობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პერიოდს ახანგძლივებს.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. თუ 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა შეთანხმება, მაშინ მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სხვა დებულებები

10.1. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან მხარეთა ყველა წინასწარი მოლაპარაკება, მიმოწერა და შეთანხმება იურიდიულად ძალადაკარგულია.

10.2. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები მხარეთა შორის წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა შესაძლებელია წერილობითი ფორმით, მხოლოდ მხარეთა შეთანხმებითა და ხელმოწერით.

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

გამყიდველი	მყიდველი
შპს „ფუდსერვისი“ ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №2 ს/კ 205179849 სს „საქართველოს ბანკი“ კოდი BAGAGE22 ანგარიშის №GE32BG0000000170776300	**სსიპ ქ. თბილისის #202 საჯარო სკოლა** მის: ქ. თბილისი, გუთნის 6 ს/კ 206091398 სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE83LB0121134143229000
_____ გენერალური დირექტორი გელა გაბელია	_____ დირექტორი ხათუნა ჯალაღონია